USAID FROM THE AMERICAN PEOPLE Good Governance Initiative (GGI)

საბოლოო ანგარიში

27 აპრილი, 2017

გრანტის მიმღების სახელი: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
ხელშეკრულების ნომერი: GGI-G-006
მისამართი: ალ. გრიბოედოვის ქ. # 3, 0108 თბილისი, საქართველო
ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი: საბა ბუაძე
პროექტის სახელწოდება: "საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროში გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სისტემის განვითარება."
ფინანსური მხარდაჭერა: Tetra Tech ARD, „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში (GGI)" პროექტის განმახორციელებელი
განხორციელების საფეხური: საფეხური No. 5
მოსალოდნელი შედეგი: რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ სტრატეგიული დოკუმენტის პირველადი ვერსიის განხილვის და მოწონების შემდეგ, შემუშავდება მონიტორინგის დეტალური მეთოდოლოგია და დამტკიცებული სამოქმედო გეგმა წარედგინება საზოგადოებას და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს, მისი ანტიკორუფციულ სისტემაში ინტეგრირების წინადადებით.

ვალდებულებები:
1) დეტალური მონიტორინგის მეთოდოლოგია მომზადებულია და წარდგენილია;
2) სამინისტროს სტრატეგიული დოკუმენტების საჯარო წარდგენა დაინტერესებული მხარეებისთვის, შეხვედრის მოკლე მიმოხილვა ინგლისურ ენაზე, ფოტოსურათი და დასწრების ფორმა.
3) სამინისტროს თანამშრომელთა ცნობიერებისთვის გაუმჯობესებისთვის სახელმძღვანელოს/გზამკვლევის/საინფორმაციო კრებულის მომზადება ანტიკორუფციული ჩარჩოს შესახებ;
4) ცნობიერების ამაღლების პრეზენტაცია/სამუშაო შეხვედრა/ტრეინინგი სამინისტროს თანამშრომლებისთვის (თანდართული დასწრების სია);
5) საბოლოო ანგარიში სადაც მოცემულია გაწეული სამუშაო და მიღწეული შედეგები (ქართულ და ინგლისურ ენებზე)

აქტივობები:

2016 წლის 9 მარტს, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა დაიწყო პროექტი „საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროში გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სისტემის განვითარება„ რომელიც ხორციელდება აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (Good Governance Initiative (GGI) მხარდაჭერით.

პროექტის მიზანი იყო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის ინდივიდუალური გამჭვირვალობის, კეთილსინდისიერების და ანტიკორუფციული ჩარჩოს შექმნა და მისი ეროვნულ ანტიკორუფციულ სისტემასთან ინტეგრირება.

პროექტის მთავარი ამოცანები იყო:

- საფუძვლიანი სიტუაციური ანალიზის მეშვეობით გამჭვირვალობასთან, კეთილსინდისიერებასთან და კორუფციასთან დაკავშირებული რისკების გამოვლენა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემაში;
- შიდა ანტიკორუფციული პოლიტიკის დოკუმენტის შესაქმნელად სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება;
- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის კეთილსინდისიერების და გამჭვირვალობის სისტემის გაუმჯობესების სტრატეგიული დოკუმენტის შექმნა;
- ისეთი ინდიკატორების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მიღწეული პროგრესის ეფექტურ მონიტორინგს;
- დოკუმენტის ფორმალური დამტკიცების და მისი ანტიკორუფციული ჩარჩოში ინტეგრირების ადვოკატირება;
- საზოგადოებრივი ჩართულობის დამატებით კულტივაციისთვის, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

პროექტის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებები:
პროექტის ზემოთ ნახსენები მიზნების მისაღწევად IDFI-ს გუნდმა განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- დასაწყისში IDFI-მ კონტაქტი დაამყარა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მმართველ რგოლთან და მიაღწია შეთანხმებას მომავალ სამუშაო პროცესზე. მინისტრის მოადგილესთან ერთად IDFI-ს პროექტის გუნდმა შეარჩია ის სტრუქტურული ერთეულები და დაწესებულებები, რომელთა

წარმომადგენლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ ფორმალურ სამუშაო ჯგუფში და განიხილავდნენ პროექტის ფარგლებში მომზადებულ დოკუმენტებს. სამუშაო ჯგუფი შედგებოდა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის, შიდა აუდიტის დეპარტამენტის, იურიდიული დეპარტამენტის, მუნიციპალური განვითარების ფონდის, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის, ეფექტიანი მმართველობის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტის, საავტომობილო გზების დეპარტამენტის, მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის და სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლებისგან. სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა გაიმართა 2016 წლის 25 მარტს, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროში. შეხვედრას ესწრებოდნენ სამინისტროს და GGI-ს წარმომადგენლები.

- განხორციელების პროცედურაზე და განრიგზე შეთანხმების შემდეგ IDFI-მ დაიწყო სიტუაციური ანალიზის დოკუმენტის მომზადება., რომელიც დაეყრდნობოდა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად მიღებულ ინფორმაციას და ასევე კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს. ჯამში IDFI-მ ჩაატარა 15-ზე მეტი გასაუბრება, რომლებიც მოიცავდა სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების, სამოქალაქო საზოგადოების და კერძო კომპანიების წარმომადგენლებს. გასაუბრებების ჩატარებამდე IDFI-მ მოამზადა კითხვარები, რომელთა მიზანიც სასურველ საკითხებზე ინფორმაციის მიღების პროცესი გამარტივება იყო. სიტუაციური ანალიზის დოკუმენტის პირველი ვერსია წარედგინა სამუშაო ჯგუფს. საბოლოო ვერსიის მიღებამდე, სიტუაციური ანალიზის საბოლოო ვერსია რამდენჯერმე იქნა განხილული სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის კომენტარებიც აისახა დოკუმენტის ბოლო ვერსიაში.
- სიტუაციური ანალიზის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი, რომელთა გადაჭრის გზებიც შემდეგ აისახა სტრატეგიაში და სამოქმედო გეგმაში. კერძოდ, სიტუაციური ანალიზის შედეგად გამოვლინდა ხარვეზები, რომელიც უკავშირდება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, საზოგადოებრივ ჩართულობას, ადამიანური რესურსების მართვას, სამინისტროს მართვაში არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირების კორპორაციულ პასუხისმგებლობას, საჯარო ეთიკას, შიდა ფინანსურ კონტროლს, მონიტორინგს და დაგეგმვას. სიტუაციური ანალიზის შედეგად ასევე გამოიკვეთა სამინისტროს ცალკეულ დეპარტამენტებში და დაწესებულებებში არსებული ხარვეზებიც. სიტუაციური ანალიზის განხილვის რამდენიმე რაუნდის შედეგად, საბოლოო დოკუმენტში გამოიკვეთა ოთხი მთავარი მიმართულება, რომლებიც უნდა ასახულიყო სტრატეგიაში.
- სტრატეგიის მომზადების პროცესში, IDFI-ს გუნდი დიდ წილად დაეყრდნო სიტუაციური ანალიზის მიგნებებს და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს და დამკვიდრებულ საუკეთესო პრაქტიკას. სტრატეგიის პირველი ვერსია განხილვისთვის წარედგინა სამუშაო ჯგუფს, რის შემდეგაც დამატებით მოწოდებული იქნა წერილობითი შენიშვნები და კომენტარები. მიღებული რეკომენდაციები, რომელიც განხილვის შემდეგ სტრატეგიის განახლებულ ტექსტში აისახა, მოიცავდა, როგორც ტექნიკურ ნაწილს, ისე შინაარსობრივ კომენტარებს. სტრატეგიის პირველი ვერსიის განახლების შემდეგ, IDFI-მ მოამზადა მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა და შესაბამისი შესრულების ინდიკატორების სია.

სამოქმედო გეგმა ეხმიანება იმ ძირითად პრიორიტეტებს, რომელიც მოცემულია სამოქმედო გეგმაში. სამოქმედო გეგმაში მოცემულია, როგორც შედეგის, ისე შესრულების ინდიკატორები.

- პირველი ვერსიის ოფიციალურ წარდგენამდე, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა კიდევ საბოლოოდ იქნა განხილული სამუშაო ჯგუფის ფორმატში და სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად. დამატებით, გაიმართა სამუშაო ჯგუფის სამი შეხვედრა, სადაც განხილული იყო სტრატეგიული დოკუმენტების შინაარსი, ტექსტის ფორმულირება და სტრუქტურა. ასევე გაიმართა შეხვედრები მინისტრის მოადგილესთან, რომელმაც კიდევ ერთხელ დეტალურად განიხილა სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. პროექტის განხორციელების პროცესში შეიცვალა სამინისტროს მმართველი რგოლი, რამაც გამოიწვია განხორციელების შეფერხება ერთი თვით. საბოლოოდ, სტრატეგიის პირველადი ვერსია მოწონებული იქნა სამინისტროს მიერ 2017 წლის 23 თებერვალს.
- განხორციელების პროცესში, სამინისტრომ და IDFI-მ წარმატებით მოახდინეს სამინისტროს ღია მმართველობა (OGP-ს) საქართველოს ფორუმში გაწევრიანება და სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მიღების ვალდებულების განსაზღვრა OGP-ს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმაში. OGP-ს სამოქმედო გეგმა საქართველოს მთავრობის დადგენილებით 2016 წლის ნოემბერში დამტკიცდა. IDFI-მ დახმარება გაუწია სამინისტროს OGP-ს ვალდებულების ჩამოყალიბებაში და ადვოკატირებას უწევდა მისი OGP-ს და ანტიკორუფციულ სამოქმედო გეგმებში შეტანას.
- IDFI რეგულარულად ახორციელებდა გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შეტანას ეროვნულ ანტიკორუფციულ სამოქმედო გეგმაში, რომელიც ამჟამად ჯერ არ დამტკიცებულა. სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შეტანა ეროვნულ ანტიკორუფციულ ჩარჩოში განხილული იყო როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლებთან, ისე ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოსთან. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შესახებ ინფორმაცია IDFI-ს პროექტის გუნდმა წარადგინა ანტიკორუფციული საბჭოს სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომელიც 2017 წლის 9 მარტს გაიმართა. IDFI-ს წარმომადგენლებმა ამ საკითხს ასევე გაუწიეს ადვოკატირება ანტიკორუფციული საბჭოს სხდომაზე, რომელიც 2017 წლის 23 აპრილს გაიმართა. ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნო მომავალში მოახდენს სამინისტროსთან კომუნიკაციას .
- სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პირველი ვერსიის სამინისტროსთვის წარდგენის შემდეგ, IDFI-მ ორგანიზება გაუკეთა დოკუმენტების საჯარო განხილვას 2017 წლის 21 მარტს. დოკუმენტების საჯარო განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და დამოუკიდებელმა ექსპერტებმა. კერძოდ, განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის, ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის და ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრის წარმომადგენლებმა. სამინისტრომ მიიღო რამდენიმე შენიშვნა/რეკომენდაცია დოკუმენტების შინაარსის გაუმჯობესებასთან

დაკავშირებით. შენიშვნების განხილვის შემდეგ, სამინისტრომ გაგზავნა დოკუმენტი მინისტრის ბრძანებით დასამტკიცებლად. პროექტის ფარგლებში შემუშავებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2017 წლის 26 აპრილს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის #69/ო ბრძანებით დამტკიცდა. აღნიშნული, პროექტის წარმატებით განხორციელების მთავარ ინდიკატორს წარმოადგენს.

- სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის გარდა, IDFI-მ შეიმუშავა მონიტორინგის მეთოდოლოგია, რომელშიც განხილულია სამოქმედო გეგმის მონიტორინგის სხვადასხვა საშუალება. მეთოდოლოგიაში მოცემულია შესრულებული სამუშაოს შეფასების და გაზომვის რამდენიმე გზა და ასევე შეიცავს მონიტორინგის ჩარჩოს. მონიტორინგის მეთოდოლოგია შემუშავდა ეროვნულ დონეზე არსებული პრაქტიკის და მექანიზმების გათვალისწინებით და ეროვნულ ანტიკორუფციულ სტრატეგიაში მოცემულ პრინციპებზე დაყრდნობით. IDFI-მ მონიტორინგის მეთოდოლოგია წარუდგინა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, რომელიც დოკუმენტს მონიტორინგის პროცესში გამოიყენებს.
- პროექტის საბოლოო აქტივობების სახით, IDFI-მ წარუდგინა სტრატეგია და სამოქმედო გეგმა სამინისტროს და მისი სისტემის თანამშრომლებს. 2017 წლის 25 აპრილს გამართულ პრეზენტაციაზე IDFI-ს წარმომადგენლებმა ისაუბრეს სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მნიშვნელობაზე და კეთილსინდისიერებასთან, ანგარიშვალდებულებასთან და კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებზე. პრეზენტაცია მოიცავდა სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ შეთავაზებებს და ზოგად კონტექსტს, რომელიც მნიშვნელოვანია სტრატეგიის განხორციელებისათვის.
- IDFI-მ ასევე მოამზადა სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის სასარგებლო ინფორმაციის კრებული, რომელიც მიაწოდა სამინისტროს.

ფინასური ანგარიში

ბიუჯეტის კატეგორია	ერთეულის ფასი	რაოდენობა/ პროცენტულობა	ერთეული	GGI-ს მხარდაჭერა - აშშ დოლარი	ჯამი - ლარი		გაწეული ხარჯი	თანხა დარჩენილი - ლარი
1.შრომის ანაზღაურება			თვე	41 762,54	103 207,77		101 568,16	1 639,60
მასალები			თვე	2 517,00	8 271,44		-	8 100,08
ტრანსპორტირება			თვე	646,68	1 598,15		-	1 598,15
აქტივობის ხარჯები - სერვისები, ტრეინინგი, სამუშაო შეხვედრა, პროდუქტები			თვე	6 224,49	15 382,58		3 848,39	11 534,19
კომუნიკაცია			თვე		916,36			635,33
ჯამური ბიუჯეტი				51 150,71	129 376,29		105 416,55	23 507,35

პროექტის დირექტორი:

ლევან ავალიშვილი

27 აპრილი, 2017